დამტკიცებულიაონის
მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის
... მაისის N.. ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1 . ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა“ არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე.

2. „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ დამფუნებელია ონის მუნიციპალიტეტის მერი.

3. „ონის მუნიცპალიტეტის სამუსიკო სკოლა“ მუშაობაში ხელმძღვანელობს „საქართველოს კონსტიტუციით“, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“, ამ წესდებით და საქართველოს სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. სახელწოდება, იურიდიული მისამართი და სტატუსი

1. „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ სრული სახელწოდებაა - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა’’.

2. ა(ა)იპ „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ იურიდიული მისამართია: საქართველო, ონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ონი, ვახტანგ VI-ის ქუჩა N -41.

3. ელ. ფოსტა: onis.samusiko.skola.@gmail.com. ტელეფონი - 595 07 05 84.

4. “ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა“-ს გააჩნია იურიდიული პირის ყველა ატრიბუტი, ბეჭედი, დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიშები და სხვა.

მუხლი 3. „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ საქმიანობის მიზნები და ამოცანები

1. “ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ მიზნებია:

ა) მოსწავლეთათვის დაწყებითი სამუსიკო განათლების მიცემა (სწავლის ხანგრძლივობაა 7 წელი);

ბ) მოსწავლეთა პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა:

მუნიციპალიტეტის მერი
ე. საბანაძე

გ) გააცნოს და შეაყვაროს მოსწავლეებს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების მუსიკალური ნიმუშები;

დ) გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები;

ე) იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე;

ვ) აზიაროს მოსწავლეები მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს.

მუხლი 4. „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ სასწავლო პროცესის ორგანიზაცია

1. „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა“-ში სასწავლო პროცესის ორგანიზება, სწავლების შინაარსი და ხანგრძლივობა, სწავლის შედეგები და მიღწევების შეფასების სისტემა განისაზღვრება შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების მიხედვთ.

2. სამუსიკო სკოლაში სწავლების უფლებით სარგებლობენ საქართველოს მოქალაქეთა შვილები. ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა შვილები სკოლაში მიიღებიან საერთო წესით.

3. სამუსიკო სკოლა ახორციელებს ფასიან მომსახურებას მოზარდთათვის 6 წლის ასაკიდან. იმ შემთხვევაში, თუ სკოლაში სწავლის მსურველთა რაოდენობა აღემატება მისაღებ კონტინგენტს, სკოლაში ტარდება შესარჩევი კონკურსი შინაგანაწესით განსაზღრული პირობების შესაბამისად.

4. სამუსიკო სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს:

ა)დირექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით;

ბ)კონკურსის შემთხვევაში - მიმღები კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით - ბრძანებით;

გ) შემსვლელთათვის აუცილებელი საბუთების ნუსხა და ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება სკოლის შინაგანაწესით;

5. სკოლაში სასწავლო პროცესის ორგანიზების ძირითადი ფორმებია: ინდივიდუალური, ჯგუფური გაკვეთილი, კლასგარეშე მუშაობა.

6. ცოდნისა და უნარ - ჩვევების შეფასებისა და გამოვლენის ფორმებია: მიმდინარე გაკვეთილზე გამოკითხვა, პერიოდული და დახურული კონცერტები, საკონტროლო გაკვეთილები, ჩათვლები და გამოცდები.

7. მუსიკალური სკოლის დამთავრებისას გაიცემა შესაბამისი საფეხურის დასრულების მოწმობა.

მუხლი 5. “ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ მართვა

1. “ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ონის მუნიციპალიტეტის მერი.

მუნიციპალიტეტის მერი:
ე. საბანაძე

2. სკოლის დირექტორად შეიძლება დაინიშნოს შესაბამისი უმაღლესი სამუსიკო განათლების ან საშუალო პროფესიული სამუსიკო განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს შემოქმედებითი მუშაობის არანაკლებ 3 წლის მუშაობის სტაჟი, პედაგოგიური საქმიანობის უნარ - ჩვევები.

3. სამუსიკო სკოლის დირექორი:

ა) ონის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე იღებს თანამშრომლებს, შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს და საშტატო განრიგს, ამტკიცებს „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ შინაგანაწესს;

ბ)მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ძირითადი ქონება;

გ) დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

დ) წარმართავს და ორგანიზებას უწევს სამუსიკო სკოლის საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის ეფექტურობასა და კანონიერებაზე;

ე)კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს სამუსიკო სკოლის ქონებას და სახსრებს. მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა სამუსიკო სკოლის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივ და სწორად ხარჯვაზე;

ვ) დირექტორი იღებს გადაწყვეტილებებს სამუსიკო სკოლის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტებს, წყვეტს მოსწავლეების სკოლაში ჩარიცხვისა და გარიცხვის საკითხს;

თ) ხელმძღვანელობს პედაგოგიური საბჭოს მუშაობას.

4. პედაგოგიური საბჭო:

ა) ადგენს პედაგოგიური საბჭოს მუშაობის რეგლამენტს;

ბ) განიხილავს დირექტორის მიერ შემუშავებული სკოლის წლიური სამუშაო გეგმის პროექტს;

გ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე შეიმუშავებს სასწავლო გეგმებს;

დ) ისმენს დირექტორის ანგარიშს (ინფორმაციას) გაწეული მუშაობის შესახებ, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით;

ე) იხილავს სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;

5. პედაგოგიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, დამსწრეთა ვინაობა, მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს დირექტორი და საბჭოს მდივანი.

მუნიციპალიტეტის მერი:
ე. საბანაძე

მუხლი 6. „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ კონტროლი

1. სამუსიკო სკოლის მუშაობაზე ზედამხედველობა გულისხმობს სკოლის მიერ განსახორციელებული საქმიანობის კანონიერების მიზანშეწონილობას, სწავლა - სწავლების ეფექტურობის და საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ზედამხედველობას ახორციელებს ონის მუნიციპალიტეტის მერია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით.

3 . მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია გამოითხოვოს მასალები და ინფორმაციები, ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით ადგილზე შეისწავლოს სკოლის საქმიანობა.

მუხლი 7. „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ ფინანსური სახსრები

1. „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ დაფინანსების წყაროებია:
ა)ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი დაფინანსება;
ბ)ფასიანი სწავლებიდან მიღებული სახსრები;
გ)უცხოური ინვესტიციები და გრანტები;
დ)საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 8. საქველმოქმედო შენატანები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა“-ს, თავისი საქმიანობის განხორციელების მიზნით, უფლება აქვს მიიღოს საქველმოქმედო შენატანი ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან.
2. საქველმოქმედო შენატანი შესაძლოა შეტანილ იქნას, როგორც ფულადი, ისე არაფულადი (სხვა მატერიალური ფასეულობები) სახით ნებისმიერ ვალუტაში, ნებისმიერი ოდენობით.
3. საქველმოქმედო შენატანების შეტანა ეფუძნება ნებაყოფლობით პრინციპებს და იგი ხმარდება მხოლოდ სკოლის განვითარებას.

მუხლი 9. ლიკვიდაცია - რეორგანიზაცია

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ონის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლის“ რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დადგენილი წესით ახორციელებს ონის მუნიციპალიტეტის მერი მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

2. ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება სრულად გადადის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წესდების დამტკიცების შესახებ ბრძანების ხელმოწერისთანავე.
2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა მუხლების ნამდვილობაზე.

მუნიციპალიტეტის მერი:
ე.საბანაძე